ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია

ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქუჩა №23

ტელ: 25-94-00, ფაქსი: 25-93-13

N 05/1322
25/02/2019

1322-05-2-201902251433

პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ

წერილობითი შეტყობინება

25.02.2019 წ. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია;

გიგზავნით პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ წერილობით შეტყობინებას:

შესყიდვა: ***NAT180000712;***

პრეტენდენტი/მიმწოდებელი: *შპს „მარიამი ო.ბ. 2006", ს/კ 245560085, მის: ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. 4, ბინა 1, otarberidze@gmail.com.*

შავ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის საფუძველი: *შპს „მარიამი ო.ბ. 2006"-თან 2018 წლის 13 მარტს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N37 ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე შპს „მარიამი ო.ბ. 2006" ასრულებდა სოფელ მახვილაურში ჭაბურღილის (სამფავზიანი ტუმბოს მონტაჟი), აუზისა და წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოებს. ხელშეკრულების თანახმად აღნიშნულ ობიექტზე გათვალისწინებული იყო 40 მ³ ტევადობის წყლის რეზერვუარის, ჭაბურღილის, საქაჩი ტუმბოსა და წყლის მილების მოწყობის სამუშაოები. ზემოაღნიშნული სამუშაოები მშენებლის მიერ განხორციელდა ეტაპობრივად, კერძოდ, პირველ ეტაპზე მხარეებს შორის მილება-ჩაბარების აქტი გაფორმდა 2018 წლის 21 მარტს ღირებულებით 45 367,93 ლარი. შპს „მარიამი ო.ბ. 2006"-მ პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები ვერ დაასრულა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და მუშობა განაგრძო ხელშეკრულების მოქმედების ვადაში ჯარიმების ფონზე. აქვე განვმარტავთ რომ №37 ხელშეკრულების სამშენებლო სამუშაოების შესრულების ვადად განსაზღვრული იყო 2018 წლის 13 აგვისტოს ჩათვლით, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2018 წლის 15 სექტემბერის ჩათვლით.*

მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან არაეთხელ იქნა გაფრთხილებული შპს „მარიამი ო.ბ 2006"-ს დირექტორი, რათა სამშენებლო სამუშაოები დაესრულებინა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, მშენებელი წერილობით მომართვაში აფიქსირებდა, რომ აღნიშნულ ვადაში ვერ შეძლებდა ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ითხოვდა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებას 2018 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით და საჯარიმო სანქციების ფონზე დაასრულებდა სამშენებლო სამუშაოებს, რაზეც შედგა ურთიერთშეთანხმების აქტი და

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედების ვადად განისაზღვრა 2018 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით. დარჩენილი სამუშაოებზე მშენებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ფორმა N2 მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი იქნა 2018 წლის 26 ოქტომბერს, რის საფუძველზეც 2018 წლის 29 ოქტომბერს გაფორმებული იქნა მიღება-ჩაბარების აქტი. აღნიშნულ ფორმა N2-ს თან ერთვის შპს „ზიასი და კომპანია"-ს მიერ გაცემული ინსპექტირების ანგარიში (ექსპერტიზი დასკვნა). მიმდინარე პროცესების პარალელურად აღნიშნულ ობიექტზე მიწის დარეგისტრირების პროცესი გაჭიანურდა, ვერ მოხერხდა ელექტროენერგიის მიწოდებისათვის საჭირო ტექნიკური პირობის მიღება და ჭაბურღილის ელ. ქსელზე დაერთება. ვინაიდან არ შეიძლებოდა არამუშა მდგომარეობაში ჭაბურღილის ტუმბოს ჭაში დატოვება, მშენებლის მიერ მოხდა ტუმბოს დემონტაჟი და შენახვა. მას შემდგომ, რაც განხორციელდა მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში დარეგისტრირება (№22.26.05.736 29.10.2018 წ), მიმართული იქნა სს „ენერგოპრო-ჯორჯია"-ს ხელვაჩაურის სერვისცენტრზე (წერილი №05.17985 29.10.2018 წ.) და მოხდა ელექტრომომარაგების ტექნიკური პირობის გაცემა და ჭაბურღილის ელ. ქსელზე დაერთება, რასაც შპს „მარიამი ო.ბ. 2006" აფიქსირებს 2018 წლის 25 დეკემბრის 17354/05 წერილში. ჭაბურღილის ელ. ქსელის დაერთების შემდეგ, მშენებლის მიერ მოხდა წყლის ხაჭაჩი ტუმბოს მონტაჟი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ტუმბო იყო დეფექტის მქონე. შ.პ.ს „მარიამი ო.ბ 2006"-მ აიღო ვალდებულება უმოკლეს დროში აღმოეფხვრა აღნიშნული ხარვეზი და განეხორციელებინა ტუმბოს მონტაჟი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მერიის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო პირობების მოქმედების ვადაში 2018 წლის 27 დეკემბრის N05/9497 და 2019 წლის 11 იანვრის N05/177 წერილების საფუძველზე შპს „მარიამი ო.ბ. 2006"-ს მიეცა ვადა აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად არაუგვიანეს 2019 წლის 30 იანვრისა. მიუხედავად ხელშეკრულების საგარანტიო ვადებისა, შ.პ.ს „მარიამი ო.ბ 2006"-მ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის N19 ბრძანების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე გთხოვთ შპს „მარიამი ო.ბ. 2006" დაარეგისტრიროთ შავ სიაში.

თანდართული დოკუმენტაცია:

დანართი - „145" ფურცელი:

1. ურთიერთშეთანხმების აქტები და შესაბამისი დანართები - 38 გვ.;
2. ინსპექტირების ანგარიში და მიმოწერები მხარეებს შორის - 37 გვ.;
3. №138 ბრძანება კომისიის შექმნის შესახებ; დანართები - 17 გვ.;
4. კომისიის სხდომის ოქმი №1 - 03 გვ.;
5. მერის მოადგილის №407-05 მოხსენებითი ბარათი - 01 გვ.;
6. მუნიციპალიტეტის მერის №05/1002 წერილი ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს - 01 გვ.;
7. სარჩელი სამოქალაქო საქმეზე - 48 გვ.;

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა